MES 9 23 0001606060

27/11/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 10 ნოემბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ლევან მადათოვი
- ნანა ნატროშვილი
- ნინო თამაზაშვილი
- მაია ომიაძე
- მანანა კობალაძე
- ნინო ბოკუჩავა
- გიული გურგენიძე
- დავით გუდაზე
- ნინო მოწყობილი
- ცოტნე ქორჩილავა

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy
დირექტორი მოადგილე - თაბუკა ციმინტია
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნანა აბდალაძე

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“
დირექტორი - ნანა ჯოლია
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - თამარ არობელიძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული

შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy - ში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდა.

პირველი საკითხი: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy - ში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ლევან მადათოვი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy -ში (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ბ), გ) ქვეპუნქტის გ.ბ), დ) ქვეპუნქტის დ.ა) და დ.ბ) და ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი სხდომის ოქმი, რომელზეც საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ჩანიშნულ იქნა მონიტორინგი. ვიზიტი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციას, შესაბამის პასუხისმგებელ პირებს, კურსდამთავრებულებს. დათვალიერებულ იქნა დაწესებულების მატერიალური რესურსი.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში მოქმედებს სტაჟირების პროგრამა, რაც წარჩინებული კურსდამთავრებულების სხვადასხვა პოზიციაზე აყვანას და საკუთარ სივრცეში პროფესიონალების გაზრდას ემსახურება. დაწესებულებაში ვიზიტის დროს სტაჟირების პროგრამით უკვე ჰყავდათ აყვანილი რამდენიმე კურსდამთავრებული. კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს, მათ ხაზი გაუსვეს პროფესიაში მეტი პრაქტიკის მნიშვნელობას და გულწრფელი მადლიერება გამოხატეს აკადემიის მიმართ ამ შესაძლებლობის მიცემისთვის.

განმავითარებელი რეკომენდაცია

4.1.1.1 მართვის და კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულების სტრუქტურა გახდეს ჰორიზონტალური: დირექტორის მოადგილეზე მოხდეს ნაწილი ფუნქციების დელეგირება, ხოლო ისეთი საკითხების კონტროლი, როგორიცაა. მაგალითად. ფინანსები და შრომის უსაფრთხოება, დირექტორს დაევალოს.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტის ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ 3.1.1.1 ინდიკატორი შეფასდა, როგორც არ არის დაკმაყოფილებული, კოლეჯის შიდა რეგულაციებით არ არის უზრუნველყოფილი კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“ დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის №55 ბრძანების შესწავლით, გამოიკვეთა რომ დაწესებულებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრული ჰქონდა 3 წელი, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა „პროფესიული სტუდენტის

მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის №135/ნ ბრძანებასთან. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ 2023 წლის 20 ოქტომბრის № 00010735 წერილით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით., რომელიც ხარისხის ცენტრის მიერ მოეწოდა ექსპერტთა ჯგუფს, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ აკადემიაში ხშირად ხორციელდებოდა ადამიანური რესურსის ცვლილება, რამაც გამოიწვია აღნიშნული 9 სტუდენტის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სტუდენტის სტატუსის ცვლილების არ განხორციელება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 9 პროფესიული სტუდენტიდან 4 პროფესიული სტუდენტი აკადემიაში ჩაირიცხა 10.09.2018-ში და სტატუსი შეუჩერდა დადგენილი რეგულაციის შესაბამისად 01.03.2019-ში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის პერიოდი 17.09.2018 / 30.03.2019). აქედან გამომდინარე, აღნიშნულ სტუდენტებს რეგულაციის შესაბამისად, სტატუსის შეჩერებიდან 3 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ უწევდათ სტატუსის შეწყვეტა და აქედან გამომდინარე აღნიშნულ სტუდენტებთან მიმართებით დაცულია კანონმდებლობის მოთხოვნები. ამასთან, აკადემიამ ცვლილება შეიტანა „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ მექანიზმებში“, სადაც ასახულია საკანონმდებლო მოთხოვნები სტუდენტის სტატუსის შეჩერების 5 წლიან ვადასთან დაკავშირებით, რაც შეეხება დანარჩენ 5 პროფესიულ სტუდენტს, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების პირადი განცხადებები სტატუსის შეწყვეტის შესახებ. პირადი განცხადებები გამოხატავს პროფესიული სტუდენტის ნებას სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით და , ექსპერტების მოსაზრებით , პროფესიული სტუდენტების უფლებები არ დარღვეულა.

ექსპერტის განცხადებით, აღსანიშნავი იყო, რომ ექსპერტებს ვიზიტის დროს არ უნახავთ პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადებები და არსებული გარემოების ხარვეზად შეფასება გამოიწვია ვიზიტის დროს სამუშაო პროცესში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლამ. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად მოგვეწოდა სტუდენტის პირადი განცხადებები და ამის შემდეგ გამოიკვეთა საჭიროება რომ შეგვესწავლა 5.2 კომპონენტი. ვინაიდან ვიზიტის ფარგლებში ბრძანებით გვევალებოდა 5.1 კომპონენტის შესწავლა, 5.2 კომპონენტის ნაწილში ამ განცხადებების შესწავლის შემდეგ, გამოიკვეთა საჭიროება საქმისწარმოების პროცესების შესწავლის, თუმცა წარმოების ფარგლებში მოკლებულნი ვიყავით შესაძლებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის და არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეცვალა შეფასება და ამ ეტაპზე ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები. სტანდარტი „პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები“ შეუსაბამობიდან გადავიდა შესაბამისობაში და ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას იჯარით აქვს აღებული სასწავლო ფართი კომპანიისაგან შპს „ნატალი“, რომელიც დასტურდება ხელშეკრულებით. საგანმანთლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის მდგომარეობის რეგულარულ შეფასებას ახორციელებს მატერიალური რესურსების მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი, შედეგები გადაეცემა

კოლეჯის ფინანსურ მენეჯერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების შესასრულებლად. საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა, კოლეჯში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება. განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართულია შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მატერიალური რესურსების მენეჯერი. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა,შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტები და გაესაუბრა უფლებამოსილ პირებს. კოლეჯის მიერ შესრულებულია განმავითარებელი რეკომენდაცია, დირექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს 64 ბრძანებით დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმები". დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. კოლეჯის თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ- ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ ექსპერტს კითხვით მიმართა კადრების გადინება ხომ არ იყო გამოწვეული იმ გარემოებით, რომ კოლეჯის დირექტორს ჰქონდა ძირითადი ფუნქციები შეთავსებული.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ცალკე შტატად დანიშნული ჰყავდა დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის შტატიც ცალკე იყო, ამ შემთხვევაში, ფუნქციების არევა აღარ მოხდებოდა, თუმცა რადგან არსებობდა მოადგილის შტატი, მას მხოლოდ მოადგილე არ უნდა ერქვას, არამედ მას უნდა ექვემდებარებოდეს გარკვეული სამსახურებრივი მენეჯერული ფუნქციებიც.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნანი დალაქიშვილის, განცხადებით, ზემოაღნიშნული ფაქტი ზოგადად იკვეთებოდა იმ დაწესებულების შემთხვევაში, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის ბიზნესიდან შემოვიდა, შესაბამისად, მას არ აქვს საგანმანათლებლიო სფეროში გამოცდილება და პრაქტიკა, ძირითადად მაინც ხელმძღვანელის კონტროლის ქვეშ მიდიოდა ყველა პროცესი. სხვა იურიდიული პირების შემთხვევებიც გვქონდა, რომლებიც ასევე ბიზნესიდან შემოვიდნენ, თუმცა ნელ-ნელა ჩამოყალიბდა იქ სტრუქტურები, დაინიშნა ფუნქციების შესაბამისი ადამიანები. მონიტორინგები სწორედ იმაში გვეხმარებოდა, რომ განსაზღვრულიყო, ზუსტად ვინ რაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი. დირექტორი შეიძლება ამ შემთხვევაში იყოს, როგორც საგანმანათლებლო კოლეჯის დირექტორი და ამავე დროს ბიზნეს ქსელის ხელმძღვანელიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რატომ არ მოხდა ექსპერტების მიერ სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით თუნდაც განმავითარებლი რეკომენდაციის დაფიქსირება, რომ სამომავლოდ თვალშისაცემი იყოს და დაწესებულებამაც გადახედოს.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილის მიხედვით, მათ ერთი მხრივ შეცვალეს რეგულაცია და მეორეს მხრივ უწერიათ, რომ გააძლიერებდნენ კონტროლს რეესტრის მიმართულებით და ხარისხის ნაწილშიც, რათა ასეთ ფაქტს აღარ ჰქონოდა ადგილი, აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა აღარ ჩათვალა საჭიროდ, რომ დამატებით რამე რეკომენდაცია გაეცათ, ასევე, სტუდენტების განცხადებებიც არსებობდა სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით, შესაბამისად, დასკვნის ეტაპზე ხარვეზად აღარ აისახა, თუმცა ფაქტი ფაქტად დარჩა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ზემოაღნიშნულ საკითხს შემდგომი საქმის წარმოებისას უნდა მიექცეს ყურადღება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ, თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პირველ რიგში განმარტავდა ბიზნესიდან საგანმანათლებლო სფეროში საქმიანობის შესახებ საკითხს, მისი თქმით, რა თქმა უნდა სტრუქტურა შესაცვლელი იყო და იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულების დირექტორი უფრო ბიზნესზე იყო ორიენტირებული, პირველი ეტაპისთვის დირექტორის მოადგილის პოზიცია გაჩნდა, თუმცა, იგეგმებოდა ცვლილებები და დირექტორის მოადგილე გახდებოდა უკვე დირექტორი, შესაბამისად სტრუქტურა ამ მიმართულებით შეიცვლებოდა. დაწესებულება ითვალისწინებს ექსპერტების რეკომენდაციას აღნიშნულთან დაკავშირებით. რაც შეეხება სტუდენტების სტატუსთან დაკავშირებით, ემისმა ჩაატარა მონიტორინგი და ამ მონიტორინგის საფუძველზე, ივლისის თვეში, დაწესებულებებს დაეგზავნათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო ბაზებში ასახულიყო ყველა საჭირო ინფორმაცია, რაც დაგვიანებული ჰქონდა დაწესებულებას. კოლეჯმა ძალიან ბევრი რეგულაცია და წესი შეცვლა, რადიკალურად შეიცვალა ყველა მექანიზმი, რამაც ტექნიკურად და მექანიკურად მოახდინა ის, რომ გაეპარათ იმ დებულების ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას 3 წლის ნაცვლად 5 წლის შემდეგ. აღნიშნულ დამდგარ ფაქტს კოლეჯი გაიზიარებს. რაც შეეხება თვითონ სტუდენტების საკითხს, როგორც მოგეხსენებათ საქმის მწარმოებელმა რომ დაიწყო იმ სავალდებულო ერთთვიან პროცესზე მუშაობა, რომელიც ემისმა დააკისრა დაწესებულებებს, რათა ბაზები გასწორებულიყო, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე სტუდენტს, რომელზეც უკვე გარკვეული პერიოდის წინ იყო ბრძანება, რომ მასზე სტატუსი უნდა შეწყვეტილიყო, არ იყო სტატუსი შეწყვეტილი ბაზის მხრივ და საქმე ბოლომდე არ იყო მიყვანილი, დაამატა დაწესებულების წარმომადგენელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ხომ არ იგეგმებოდა კოლეჯის ახალი ხელმძღვანელობის მიერ კარდინალურად გადახედილიყო საორგანიზაციო საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაგეგმილი და დაწყებული იყო პროცესები აღნიშნული მიმართულებით, განხორციელებულმა მონიტორინგმა ძალიან კარგი შესაძლებლობა მისცა დაწესებულებას უკეთ დაენახა, რომ უფრო მკაცრად იყო საჭირო შიდა მონიტორინგის ჩატარება. კოლეჯმა დაიწყო ბაზებზეც მუშაობა, ყველა სტუდენტის სტატუსის შესწავლა, როგორც კურსდამთავრებულების, სტატუსშეჩერებულების, ისე

სტატუსშეწყვეტილებისაც, უშუალოდ ხდება მოკვლევა, კიდევ რამე უზუსტობას ხომ არ ჰქონდა ადგილი, ამ ეტაპისთვის დამატებით უზუსტობა არ დაფიქსირებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით და აღნიშნა, რომ კოლეჯი ახორციელებდა 4 საკვალიფიკაციო პროგრამას, ამასთან ერთად დაწესებულება ახორციელებდა, თუ არა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯში 4 საკვალიფიკაციო პროგრამა ხორციელდება და ასევე 11 პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელსაც დაწესებულება 2 პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად ახორციელებს, ეს იყო უშუალოდ შპს „ნატალი“ და შპს „დეკა“, სადაც ძირითადი ნაწილი აკადემიაში ტარდება, თუმცა პრაქტიკულ კომპონენტებზე მომზადების პროგრამის ფარგლებში სტუდენტები დადიან პარტნიორ ორგანიზაციებში. აღნიშნული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები პერიოდულად ხორციელდება, დაახლოებით 5 ან 6 პროგრამას კოლეჯი ახორციელებს წელიწადში ორჯერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს კითხვით და აღნიშნა, რომ რამდენადაც ცნობილი იყო პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხული მსმენელების რაოდენობა ავტორიზაციის პროცესში არ მოწმდებოდა, იმ დაწესებულებებში, რომლებსაც ძალიან ბევრი მომზადება/გადამზადების პროგრამა აქვთ, რომ არ არსებობს რისკი, რომ ერთიდაიგივე მატერიალური ბაზა და ინფრასტრუქტურა ვერ გაწვდება ორივე სახის პროგრამას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნანი დალაქიშვილის, განცხადებით, სამსახურიც და ცენტრიც იზიარებდა იმ მიდგომას, რომ როდესაც ერთი და იგივე დაწესებულება, როგორც საკვალიფიკაციო, ისე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს ახორციელებს, მეტი კონტროლი არსებობდეს, რაც გამორიცხავს ადამიანური და მატერიალური რესურსებით პროგრამების უზრუნველყოფის რისკებს. ამ ეტაპზე, მონიტორინგების ფარგლებში, ამ საკითხებზე ყურადღება მახვილდება. რამდენადაც, პროფესიული უნარების სააგენტოში გადახედვა მიმდინარეობს საკვალიფიკაციო პროგრამების, მათ შორის, სერვისის პროგრამებისაც, და შესაბამისად, განისაზღვრება რომელი შეიძლება იყოს მხოლოდ მოკლევადიანი და რომელი საკვალიფიკაციო, ალბათ ესეც გაიმიჯნება თავისი რესურსით. ცენტრში უკვე შექმნილია ჯგუფი, რომელიც ავტორიზაციის დებულების ცვლილებებზე მუშაობს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy – ში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy – ში (ს/კ: 404441895) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეორე საკითხი: . ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო თამაზაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“(შემდგომში ცენტრი) 2023 წლის 1 სექტემბერს ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის" საგანმანათლებლო პროგრამების "სამკერვალო წარმოება'', "თმის მომსახურება", "ელექტროობა", "სასტუმროს მომსახურება", "სკოლამდელი აღზრდა", "ვებტექნოლოგიები", "ბუღალტრული აღრიცხვა" მონიტორინგის შესახებ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის და ასევე, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და ე) ქვეპუნქტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით, დაევალა ვიზიტის განხორციელება (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2023 წლის 20 და 21 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტში (მის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ. N 76 მიმდებარე ტერიტორია) ექსპერტები შეხვდნენ და

გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას და შესასწავლ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ექსპერტის განცხადებით, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა, კერძოდ,

4.1.2.3 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია იყო, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მედდის გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებთან დაკავშირებით - **შესრულებულია** - კოლეჯმა გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და მედდის პირადი საქმით წარმოადგინა საქართველოს ექთნების ასოციაციის მიერ გაცემული სერტიფიკატი, პირველადი გადაუდებელი დახმარების სასწავლო კურსის გავლის შესახებ.
5.1.1.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია იყო, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაწესებულების საქმიანობა შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით - **შესრულებულია,** დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტირდან, რომლის მიხედვითაც პსდ-ს მისამართზე (ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას #76-ის მიმდებარე ტერიტორია) არსებული შენობა-ნაგებობის საკუთრების უფლება გადაცემული აქვს 99 წლის ვადით (საკადასტრო კოდი: 27.06.52.629).
5.1.1.4 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია იყო, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შენობა ცენტრალური გათბობის სისტემით - **შესრულებულია,** დაწესებულებაში ცენტრალური გათბობის სისტემა მოთავსებულია შენობის ჭერში და გათვლილია როგორც გათბობის, ასევე გაგრილებისთვის. დაწესებულებაში ვიზიტის დროს დეტალურად დათვალიერდა ცენტრალური გათბობის სისტემა და აღნიშნული სისტემის ქვაბი. დაწესებულებამ აგრეთვე, მტკიცებულებად წარმოადგინა გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.
5.1.1.5 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია იყო , დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დაცვა - **შესრულებულია,** კოლეჯს ხელშეკრულებით ჰყავს დასაქმებული სერთიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც კოლეჯის სამივე ფართზე ახორციელებს აღნიშნულ მოვალეობას. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერმა წარმოადგინა ჩატარებული ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც ლანჩხუთის სასწავლო ფართის ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ხელმოწერით ადასტურებენ ზემოაღნიშნულ შეხვედრებზე დასწრებას.
5.1.1.11 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია იყო , დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მომხმარებლისთვის პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა - **შესრულებულია**, დაწესებულებაში მოწყობილია ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია სასწავლო რესურსი, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 5 კომპიუტერი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: (ლეპტოპი)

პროფესიული სტუდენტებისათვის, სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი ბიბლიოთეკარისათვის და ასლ-გადამღები. (იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა).

5.1.2.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია იყო, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ლანჩხუთის სასწავლო ფართისთვის დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ - **შესრულებულია,** დაწესებულებამ წარმოადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის 6 თებერვალს გაცემული ბრძანება (N ბ30. 302303722) ,რომლის თანახმადაც, ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ.N76 -ის მიმდებარედ განთავსებული კოლეჯ „ჰორიზონტის“ შენობა ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისია. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო- ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევების აქტი, რომელის მიხედვითაც დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგრადობა სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის N370 დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტს „სახანძრო უსაფრთხოების წესისა და პირობების შესახებ“.

5.1.2.2 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია იყო, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმების ამოქმედება - **შესრულებულია,** კოლეჯში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით. დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია როგორც ექთნის, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი (112). ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.2.1.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია იყო, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დაწესებულების პროცესებთან - **შესრულებულია,** დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით, რომლებიც განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განხორციელების, ადმინისტრაციისა და ბიბლიოთეკისათვის, რაც დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებითა და შესაბამისი მტკიცებულებით (ბალანსზე დარიცხული საშუალებების ჩამონათვალი).

5.2.1.5 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია იყო, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების მუდმივად ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის - **შესრულებულია,** „მა ტერიალური რესურსების მართვის, სარგებლობისა და განკარგვის წესის“ თანახმად, კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურითა და ასევე საბიბლიოთეკო რესურსებით (იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა).

5.2.2.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია იყო, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პსდ-ში კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესის ამოქმედება ლანჩხუთის სასწავლო ფართზე - **შესრულებულია,** დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის N04-10 ბრძანებით განხორციელებულია ცვლილება კოლეჯ „ჰორიზონტის“ „საქმისწარმოების წესში“, რომლითაც განსაზღვრულია ლანჩხუთის სასწავლო ფართზე შემოსული კორესპონდენციების მართვა და პასუხისმგებელი პირი.

ხოლო რაც შეეხება განმავითარებელ რეკომენდაციებს, კოლეჯს აღნიშნული გათვალისწინებული ჰქონდა, რაც დასკვნაში დეტალურადაა აღწერილი.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში გაიცა დამატებითი განმავითარებელი რეკომენდაციები, კერძოდ,

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -,,სამკერვალო წარმოება“

2.2.1.1 - პროგრამის ფარგლებში მოდულისათვის - „საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ - კოლეჯს ჰყავს 2 პარტნიორი: სამკერვალო ფაბრიკა - შ.პ.ს „ოზურგეთი დენიმი“ რომელთან გაფორმებული 2023 წლის 17 ივლისის №9 ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია აცხადებს მზაობას კოლეჯმა მოდული განახორციელოს მათ ბაზაზე(არა უმეტეს 14 პროფესიული სტუდენტისა ერთ მიღებაზე). სამკერვალო ფაბრიკა - შპს ,,ლემასი ფროდაქშენ“ აგრეთვე აცხადებს მზაობას კოლეჯმა მოდული განახორციელოს მათ ბაზაზე (არა უმეტეს 14 პროფესიული სტუდენტისა ერთ მიღებაზე). ვიზიტის დროს განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის შპს ,,ლემასი ფროდაქშენ“ დათვალიერება. გასაუბრებისას აღმოჩნდა , რომ აღნიშნული ობიექტი წინა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სხვა დასახელებით (შ.პ.ს „ელსელემი“ გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის №8 ხელშეკრულება), რომელშიც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამუშაო რეჟიმის აღდგენა სარემონტო სამუშაოების გამო, რომელიც დაკავშირებული იყო მატერიალური-ტექნიკური ბაზის განახლებასთან, ვერ მოხდა დათქმულ ვადებში, რის გამოც მოხდა მისამართის და კომპანიის დასახელების ცვლილება. . ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა შეყვანა არ არის რეკომენდირებული, რადგან არ არის დაცული ჰიგიენური-სანიტარული ნორმები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან პროგრამის განხორციელების მდგრადობა ეჭქვეშ არ დგება იმ შემთხვევაში თუ პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მხოლოდ 1 (ერთ) საწარმოში (შ.პ.ს „ოზურგეთი დენიმი“) დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეწყდეს შპს ,,ლემასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,ვებტექნოლოგიები“

2.1.1.2 - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პირადი საქმის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ დარგობრივი მოდულის ერთ-ერთ განმახორციელებელს ი.ხ -ს არ უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია, ვინაიდან მას აქვს მესამე საფეხურის ინტერნეტ ტექნოლოგის კვალიფიკაცია. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კი კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია, შესაბამისად აღნიშნული პირი ვერ შეძლებს პროგრამის განხორციელებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ სასწავლო გეგმა აგებულია იმგვარად, რომ მაქსიმალური კვირეული დატვირთვა შეადენს 34 საკონტაქტო საათს, შესაბამისად 1 პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია პროგრამის განხორციელება ერთი ჯგუფისთვის. მიუხედავად ამისა, მნიშნველოვანია პროგრამის მდგრადობისათვის დაწესებულებამ ხელშეკრულებით აიყვანოს კიდევ ერთი დარგის სპეციალისტი.

2.1.1.3 - პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის პირადი საქმის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ დარგობრივი მოდულის ერთ-ერთ განმახორციელებელს ი.ხ -ს არ უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია, ვინაიდან მას აქვს მესამე საფეხურის ინტერნეტ ტექნოლოგის კვალიფიკაცია. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კი კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია, შესაბამისად აღნიშნული პირი ვერ შეძლებს პროგრამის განხორციელებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ სასწავლო გეგმა აგებულია იმგვარად, რომ მაქსიმალური კვირეული დატვირთვა შეადენს 34 საკონტაქტო საათს, შესაბამისად 1 პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია პროგრამის განხორციელება ერთი

ჯგუფისთვის. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობისათვის დაწესებულებამ ხელშეკრულებით აიყვანოს კიდევ ერთი დარგის სპეციალისტი. შესაბამისად კოლეჯს ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლად დაიმატოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

განმავითარებელი რეკომენდაცია ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით:

2.2.1.7 - ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯებისგან. ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 6 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან:

1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება;
2. სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი;
3. ადმინისტრირების ხარჯი.

დაწესებულების მიერ შედგენილ ბიუჯეტში მოცემული ხარჯის ტიპი - ,,სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი „ არის ზოგადი და არ იძლევა კონკრეტული ინფორმაციას, რას მოიაზრებს და მოიცავს იგი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია საპროგნოზო ბიუჯეტის ხარჯში კონკრეტულად გაწეროს ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები როგორიცაა: პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარება, მალასა- ნედლეულის ხარჯი, პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების ადმინისტრირება და ა.შ.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ადგილზე დათვალიერდა პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით. დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია როგორც ექთნის, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი (112). მიმდინარე ვიზიტისას დათვალიერდა ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა 76-ის მიმდებარედ არსებულ შენობა, რომელიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით.. ისინი განკუთვნილია პროგრამების, ადმინისტრაციისა და ბიბლიოთეკისათვის, რაც დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებითა და შესაბამისი მტკიცებულებით, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, კოლეჯი კომუნიკაციის მიზნით, იყენებს ელ-ფოსტის მისამართებს . ასევე კოლეჯში გამოიყენება ელექტრონული სერვისები და სისტემები, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“

დარგის ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ კოლეჯი ‘ჰორიზონტი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ ახორციელებდა ლანჩხუთის სასწავლო ფართზე, A და B გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ: A და B გარემოში განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი , რომელიც განკუთვნილია როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“, არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდული და სწავლება პრაქტიკის ობიექტზე, სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, თუმცა მოდული გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა სასწავლო ექსკურსიისთვის დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრთან. . ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს ერთ მიღებაზე არა უმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად სასწავლო ექსკურსიით უზრუნველყოფას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლით, საიდანაც 6 ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, ხოლო 9 - ზოგად მოდულებს. არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. დაწესებულებას აქვს პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით, რაც დადასტურდა ბიბლიოთეკართან გასაუბრებით და ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით. კოლეჯის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სამკერვალო წარმოება“

დარგის ექსპერტის განცხადებით, ,,სამკერვალო წარმოების“ მოდულური პროგრამისათვის კოლეჯს გათვალისწინებული აქვს სამი გარემო: A, B და C გარემოები. მათ შორის, A და B გარემოს ფართი და აღჭურვილობა გათვლილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო C გარემოს ფართი და აღჭურვილობა გაანგარიშებულია ჯგუფში 14 პროფესიულ სტუდენტზე. მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ადგილზე მოხდა A, B და C გარემოს დათვალიერება, გადამოწმდა მატერიალური რესურსების ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტები, რის შედეგადაც, შეგვიძლია დავძინოთ, რომ სამკერვალო წარმოების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის მფლობელობაში არსებული თანამედროვე, მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამის ფარგლებში მოდულისათვის - „საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ - კოლეჯს ჰყავს 2 ახალი პარტნიორი: სამკერვალო ფაბრიკა - შ.პ.ს „ოზურგეთი დენიმი“ და სამკერვალო ფაბრიკა - შპს ,,ლემასი ფროდაქშენ“. ვიზიტის დროს განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის შპს ,,ლემასი ფროდაქშენ“ დათვალიერება. გასაუბრებიდან აღმოჩნდა , რომ აღნიშნული ობიექტი წინა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სხვა დასახელებით, , რომელშიც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამუშაო რეჟიმის აღდგენა სარემონტო სამუშაოების გამო, რომელიც დაკავშირებული იყო მატერიალური-ტექნიკური ბაზის განახლებასთან, ვერ მოხდა დათქმულ ვადებში, რის გამოც მოხდა მისამართის და კომპანიის დასახელების ცვლილება, ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა შეყვანა არ არის რეკომენდირებული, რადგან არ არის დაცული

ჰიგიენური-სანიტარული ნორმები. შენობაში იყო ბეტონის იატაკი, შეიმჩნეოდა სინესტე, არ იყო გათბობა-კონდიცირების საშუალებები, იყო ღიად გაყვანილი ელექტროსადენები, შესაბამისად, არ იყო დაცული შრომის უსაფრთხოების ნორმები. რაც შეეხება აღჭურვილობას, იყო მოძველებული მოდელები . ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან პროგრამის განხორციელების მდგრადობა ეჭქვეშ არ დგება იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მხოლოდ 1 (ერთ) საწარმოში (შ.პ.ს „ოზურგეთი დენიმი“) დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეწყდეს შპს ,,ლემასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.

დარგის ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ განხორციელებაში ჩართული 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 10 - ზოგადი მოდულების, ხოლო 3 - დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. პროგრამის №2 დანართიდან ჩანს, რომ მოდულების განხორციელებისათვის კოლეჯს გათვალისწინებული ჰყავს 2-2 პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეულ მოდულზე. არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. კოლეჯის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“

დარგის ექსპერტის განცხადებით, მდინარე ვიზიტისას დათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული შემდეგი სასწავლო გარემოები: A-B, C და A/C გარემოების, აუდიტორიებში განთავსებულია 15 სამუშაო ადგილი, ასევე - ელექტროობის დარგობრივი მოდულებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები. ერთ ცვლაში შესაძლებელია 15 პროფესიული სტუდენტის განთავსება. დაწესებულებაში ვიზიტისას ვიზუალურად დათვალიერდა აღნიშნული სივრცეები, ასევე გადამოწმდა მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა“ ფარგლებში სასწავლო ექსკურსია/ექსკურსიების უზრუნველყოფისთვის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ,, „ენერგო პრო ჯორჯია“-სთან, რომლის ფარგლებში დაიგეგმება სასწავლო ექსკურსიები პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც პროფესიული სტუდენტი გაეცნობა მომავალი პროფესიის სამუშაო გარემოს და სპეციფიკას. მემორანდუმი ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს (7) წლის ვადით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ განხორციელებაში ჩართული 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 13 - ზოგადი მოდულების, ხოლო 4 - დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. დაწესებულებამ პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით ხელშეკრულება გააფორმა კიდევ ერთ პირთან, არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კოლეჯის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“

დარგის ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე წარმოებისას დუალურად დათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო სივრცეები. მოდულებში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია ძირითადად დაწესებულებაში. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია შემდეგი გარემოები: ერთი A, ერთი B გარემო (რომელიც საერთოა სხვა პროგრამებისთვისაც), 2 C გარემო (სასტუმროს ოთახის სიმულაცია, რესეფშენი და სამრეცხაო), რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და საშუალებას იძლევა განხორციელდეს სასტუმროს მომსახურების დარგობრივი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგები. პროგრამის განხორციელებისთვის ასევე გათვალისწინებულია ინტეგრირებული მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ლაბორატორია C გარემო. რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით 15 პროფესიულ სტუდენტზე. C გარემოში პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის გათვალისწინებულია მისი სპეციფიკა, კერძოდ დაცულია ქიმიკატების/ელ. ტექნიკის და დანადგარების მოხმარებისას უსაფრთხოების ნორმები, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოების ნორმები. აღჭურვილობა გათვლილია ჯგუფში ერთდროულად 15 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორ პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც გატანილია და მიიღწევა მოდულის ცალკეული შედეგები, რომელიც დასკვნაში დეტალურად არის აღწერილი. კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სასტუმრო „ვილა რეტა“-სთან. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „სასტუმრო მომსახურება“- განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა. პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით პროგრამაზე განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 7 პროფესიული, 4 ზოგადი მოდულის და 12 ზოგადი ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები და კვირეული საათობრივი დატვირთვა. კოლეჯის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სკოლამდელი აღზრდა“

დარგის ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე წარმოების ფარგლებში გადამოწმდა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოები. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო. აღნიშნულ აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამისათვის საჭირო რესურსით 15 პროფესიულ სტუდენტზე. აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი (ორი ცვლის გათვალისწინებით). დაწესებულებაში ვიზიტისას დეტალურად დათვალიერდა სასწავლო გარემოები და გადამოწმდა მატერიალური რესურსების ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტები. საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით წ. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრთან. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს ერთ მიღებაზე არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად სასწავლო ექსკურსიით უზრუნველყოფას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 16 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 7 პროფესიული მოდულის, 7 ზოგადი მოდულის

და 2 ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. . არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს, დაწესებულებას ,,სკოლამდელი აღზრდის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური დარგის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვებტექნოლოგიები"

დარგის ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე წარმოების დროს დეტალურად დათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოები. მოდულებში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია დაწესებულებაში. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია B გარემო (დარგობრივი C ვებტექნოლოგიებისათვის) რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. აღნიშნულ გარემოში განთავსებულია 15 სამუშაო მაგიდა და კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის. სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის და დემონსტრირების ციფრული საშუალება. პროგრამა მოიცავს ორ არჩევით დარგობრივ მოდულს. აღნიშნული პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის განკუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკური მონაცემები შესაბამისობაშია განსახორციელებელი მოდულების სპეციფიკისთვის, პრაქტიკას პროგრამა არ ითვალისწინებს და ყველა პრაქტიკული შედეგის მიღწევა ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე. პროგრამის განხორციელებისთვის ასევე გათვალისწინებულია ინტეგრირებული მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები" ლაბორატორია C გარემო. რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით 15 პროფესიულ სტუდენტზე. C გარემოში პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის გათვალისწინებულია მისი სპეციფიკა, კერძოდ დაცულია ქიმიკატების/ელ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვებტექნოლოგიები" განმახორციელებლების დანართის მიხედვით, პროგრამას განსაზღვრული ჰყავს 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 10 ინტეგრირებულ მოდულები, 4 –ზოგადი მოდულების, ხოლო 2 დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები . გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს. ხელშეკრულებების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ დარგობრივი მოდულის ერთ-ერთ განმახორციელებელს ი. ხ -ს არ უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია, ვინაიდან მას აქვს მესამე საფეხურის ინტერნეტ ტექნოლოგის კვალიფიკაცია. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კი კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია, შესაბამისად აღნიშნული პირი ვერ შეძლებს პროგრამის განხორციელებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ სასწავლო გეგმა აგებულია იმგვარად, რომ მაქსიმალური კვირეული დატვირთვა შეადენს 34 საკონტაქტო საათს, შესაბამისად 1 პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია პროგრამის განხორციელება ერთი ჯგუფისთვის. მიუხედავად ამისა, მნიშნველოვანია პროგრამის მდგრადობისათვის დაწესებულებამ ხელშეკრულებით აიყვანოს კიდევ ერთი დარგის სპეციალისტი. შესაბამისად კოლეჯს ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლად დაიმატოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „თმის მომსახურება“

დარგის ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე წარმოების ფარგლებში დეტალურად გადამოწმდა სასწავლო გარემო. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია 1 A/C გარემო ზოგადი და დარგობრივი მოდულებისათვის და 1 B გარემო ინფორმაციული წიგნიერების ზოგადი მოდულისათვის. აღნიშნული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია 14 პროფესიული სტუდენტისათვის და სრულად აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება სამ პრაქტიკის ობიექტთან - სილამაზის სალონი ,,საოცრება“, სილამაზის სალონი ,,ლა ბელე ვია “,, სილამაზის სალონი, „ამილო”. აღნიშნულ კომპანიებთან დაწესებულებას გატანილი აქვს ერთი მოდული ,, საწარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება“. სილამაზის სალონი ,,საოცრება“ მდებარეობს ქ. ლანჩხუთში და ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მას შეუძლია ერთ მიღებაზე 14 პროფესიული სტუდენტის მიღება. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ვიზიტით აღნიშნულ პრაქტიკის ობიექტზე, ჩატარდა გასაუბრება სალონის წარმომადგენელთან და დათვალიერდა გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. სილამაზის სალონები ,,ლა ბელე ვია “,, და „ამილო” მდებარეობს ქ. ოზურგეთში, სადაც განსაზღვრულია მოდულის ,, საწარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება“. განხორციელება. ხელშეკრულებით დაზუსტებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენა (ერთ მიღებაზე 14) დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ უზრუნველყოფენ ტრანსპორტირებას აღნიშნულ ობიექტებზე. პროგრამისათვის კოლეჯს ჰყავს 8 ზოგადი მოდულის მასწავლებელი; 8 საერთო დარგობრივი და პროფესიული მოდულების მასწავლებელი (მათ შორის, 3 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს.). თითოეულ მოდულზე გათვალისწინებულია მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. დაწესებულებას თმის მომსახურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური დარგის სპეციალისტი. კოლეჯის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, სამკერვალო წარმოების პროგრამის ფარგლებში, რამდენი C გარემო ჰქონდა დაწესებულებას გათვალისწინებული.

დარგის ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას ერთი C გარემო ჰქონდა გათვალისწინებული. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შედიოდა მოდელირება და კონსტრუირებაც, შესაბამისად ამ მოდულებისთვის ცალკე გარემო იყო გამოყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, სამკერვალო წარმოების პროგრამის ფარგლებში, როგორ ფიქრობდა, როგორც დარგის ექსპერტი, დაწესებულებას თავისი C გარემოს ფარგლებში შეეძლო თუ არა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მიღწევა.

დარგის ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას C გარემოს ფარგლებში ნამდვილად შეეძლო ყველა სწავლის შედეგის განხორციელება, თუმცა განმახორციელებელს კარგად უნდა დაეგეგმა და წარემართა ის პროცესები, რომელიც აღნიშნული ყველა სწავლის შედეგის მისაღწევად იქნებოდა საჭირო. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ დაწესებულებას ძალიან კარგი მატერიალური

რესურსი ჰქონდა. ექსპერტებს კოლეჯმა წარმოუდგინა 5 სპეცმანქანა, თუმცა ფაბრიკის საწარმოს გაცილებით ბევრი სპეცმანქანა ჰქონდა და აღნიშნული ტექნიკის შეძენას იმ რაოდენობით, რაც საწარმოს ჰქონდა, კოლეჯი ვერ შეძლებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, სამკერვალო წარმოების პროგრამის ფარგლებში და აღნიშნა, რომ რეალურად კოლეჯს ექსპერტების რეკომენდაციის შემდეგ ერთი პრაქტიკის ობიექტი დარჩათ. აღნიშნულ ობიექტზე არამარტო მანქანებზე მუშაობის შესწავლა ხდებოდა, არამედ სხვა კომპონენტებისაც, როგორიცაა საერთო სამუშაო გარემოს მოწყობა, სამუშაო ურთიერთობები და ა.შ. იყო, თუ არა საკმარისი ერთი პრაქტიკის ობიექტი აღნიშნული სწავლის შედეგების მისაღწევად.

დარგის ექსპერტის განმარტებით, ერთი პრაქტიკის ობიექტი საკმარისი იყო სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნული საწარმო იყო ძალიან დიდი და შეეძლო 15 პროფესიულ სტუდენტზე მეტის მიღება, შესაბამისად ორი იმიტირებული გარემოს და სასწავლო ბაზაზე მიღებული ცოდნა სრულად შესაბამისი და მისაღები იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, სასტუმრო მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას რომელიმე მიმართულებით დარგობრივი ტრენინგები ჩატარებული მასწავლებლებისთვის.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას დარგობრივი ტრენინგები ჩატარებული არ ჰქონდა მასწავლებლებისთვის, დაწესებულებას ექსპერტებისთვის მსგავსი ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ვებტექნოლოგიების პროგრამის ფარგლებში, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ჰქონდა დაწესებულებას განსაზღვრული მასწავლებლებისათვის და მათივე საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, თუ არა ის პირი, რომელიც ექსპერტებმა არაკვალიფიციურად ჩათვალეს.

ექსპერტის განმარტებით, საკვალიფიკაციო მოთხოვნა იყო განათლება დარგის მიმართულებით. აღნიშნულ მოთხოვნაში ეწერა უმაღლესი, ან/და პროფესიული განათლება, დაწესებულება თავის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნას არ არღვევდა, თუცა შინაარსობრივი კუთხით ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მესამე დონის ინტერნეტ-ტექნოლოგიის ძველი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, ახალი საკვალიფიკაციო პროგრამის განხორციელებას ვერ შეძლებდა, გარდა ამისა, დაწესებულებას სხვა დამატებითი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, რომელიც ექსპერტებს დაარწმუნებდა, რომ განმახორციელებელს ჰქონდა პრაქტიკული გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და აღნიშნა, რომ კოლეჯმა თავი არ დაზოგა და მთელი რესურსი მიმართა იმისათვის, რომ 6 თვის ვადაში ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდა. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ ახალი მიღების ყველა ჯგუფი დაკომპლექტებულია ყველა მიმართულებით. ბევრ პროგრამებზე იყო კონკურსი. მიღება გამოცხადებული იყო 103 პროფესიულ სტუდენტზე და დარეგისტრირდა 203.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის" საგანმანათლებლო პროგრამების "სამკერვალო წარმოება'', "თმის მომსახურება", "ელექტროობა", "სასტუმროს მომსახურება", "სკოლამდელი აღზრდა", "ვებტექნოლოგიები", "ბუღალტრული აღრიცხვა" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტის“ (ს/კ: 237079497) საგანმანათლებლო პროგრამების "სამკერვალო წარმოება'', "თმის მომსახურება", "ელექტროობა", "სასტუმროს მომსახურება", "სკოლამდელი აღზრდა", "ვებტექნოლოგიები", "ბუღალტრული აღრიცხვა" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ